# წრის გახსნა (II ნაწილი)

ავტორი მაია გოგსაძე

კვარტა-კვინტური წრე ანუ „ტონალობათა თერმომეტრი“ საგასაღებო ნიშნებში სწრაფად ორიენტირებისთვის ეფექტური გზამკვლევია. ამ წრის არსი ის არის, რომ სკალაზე ყოველ ტონალობას საკუთარი აღნიშვნა აქვს საგასაღებო ნიშნების რაოდენობის მიხედვით. მაგალითად, სოლ მაჟორში ერთი დიეზია, რე მაჟორში – ორი, ლა მაჟორში – სამი, მი მაჟორში – ოთხი და ა.შ. რაც მეტი დიეზია ტონალობაში, მით „ცხელია“ ტონალობა და, ბუნებრივია, სკალაზეც მაღალ პოზიციას იკავებს.

რაც შეეხება ბემოლიან ტონალობებს, მათ „მინუსიან ტემპერატურას“ მიაკუთვნებენ, ამიტომ რაც მეტია ნიშნების რაოდენობა ტონალობაში, მით „ცივია“ ტონალობა და, შესაბამისად, სკალაზეც დაბლა მდებარეობს.

| | |
|---|---|
| დო დიეზ მაჟორი<br>ლა დიეზ მინორი | 7 დიეზი |
| ფა დიეზ მაჟორი<br>რე დიეზ მინორი | 6 დიეზი |
| სი მაჟორი<br>სოლ დიეზ მინორი | 5 დიეზი |
| მი მაჟორი<br>დო დიეზ მინორი | 4 დიეზი |
| ლა მაჟორი<br>ფა დიეზ მინორი | 3 დიეზი |
| რე მაჟორი<br>სი მინორი | 2 დიეზი |
| სოლ მაჟორი<br>მი მინორი | 1 დიეზი |
| დო მაჟორი<br>ლა მინორი | 0 (უნიშნო) |
| ფა მაჟორი<br>რე მინორი | 1 ბემოლი |
| სი ბემოლ მაჟორი<br>სოლ მინორი | 2 ბემოლი |
| მი ბემოლ მაჟორი<br>დო მინორი | 3 ბემოლი |
| ლა ბემოლ მაჟორი<br>ფა მინორი | 4 ბემოლი |
| რე ბემოლ მაჟორი<br>სი ბემოლ მინორი | 5 ბემოლი |
| სოლ ბემოლ მაჟორი<br>მი ბემოლ მინორი | 6 ბემოლი |
| დო ბემოლ მაჟორი<br>ლა ბემოლ მინორი | 7 ბემოლი |

ავიღოთ უნიშნო ტონალობა დო მაჟორი. თუ „დო“-დან ზევით წმინდა კვინტას ავაგებთ ანუ ხუთ კლავიშს გადავითვლით, მივიღებთ „სოლ“ ნოტს. ანუ თუ დო მაჟორში ავიღებთ დომინანტას (კილოს V საფეხური) და მას ტონიკად მივიჩნევთ, მივიღებთ ახალ ტონალობა – სოლ მაჟორს ერთი ფა დიეზ ნიშნით. როდესაც სოლ მაჟორის გამას დავუკრავთ, უკვე გვეცოდინება, რომ „ფა“ ნოტი უნდა ავამაღლოთ და თეთრი კლავიშის ნაცვლად შავ კლავიშზე დავუკრათ.

ახლა წმინდა კვინტა „სოლ“ ნოტიდან ზევით ავაგოთ (ჩვენ ხომ სოლ მაჟორ ტონალობაზე შევჩერდით). მივიღებთ ნოტ „რე“–ს. რე მაჟორის მისაღებად ფა დიეზთან ერთად დო დიეზის შემოტანაც დაგვჭირდება.

„რე“-დან კიდევ ერთი კვინტის აგებით „ლა“-ს ანუ სამნიშნა ტონალობას – ლა მაჟორს მივიღებთ ფა, დო და სოლ დიეზებით.

თუ ხუთ ასეთ სვლას 4-ჯერ გავიმეორებთ, ბოლო შვიდნიშნა ტონალობამდე – დო დიეზ მაჟორამდე მივალთ. ამგვარად, შეიქმნება ერთმანეთისგან წმინდა კვინტებით დაშორებული დიეზიანი ტონალობების ჯგუფი.

რაც შეეხება ბემოლიან ტონალობებს, ის დიეზიან ტონალობათა სისტემის საწინააღმდეგოდ აიგება, ანუ გადათვლას საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით, წმინდა კვინტებით ქვევით ვიწყებთ. ყოველი გადათვლილი წმინდა კვინტა ტონალობას თითო ბემოლს შემატებს.

ნეიტრალური „დო“ ნოტიდან წმინდა კვინტით ქვევით გადათვლის შემთხვევაში ვიღებთ ნოტ „ფა“–ს, ტონალობა ფა მაჟორში კი ერთი ნიშანია – სი ბემოლი. ასე იწყება ბემოლიანი ჯგუფის ტონალობები.

მომდევნო ბემოლიანი ტონალობის მისაღებად „ფა“-დან ქვევით კიდევ ერთ კვინტას ავაგებთ, საიდანაც სი ბემოლს მივიღებთ. სი ბემოლ მაჟორში კი უკვე ორი ბემოლია – სი და მი. თუ ხუთ ასეთ სვლას კიდევ 5-ჯერ გავიმეორებთ, ბოლო შვიდნიშნა ტონალობა დო ბემოლ მაჟორს მივიღებთ. ასე ჩამოყალიბდება ერთმანეთისგან წმინდა კვინტებით დაშორებული ბემოლიანი ტონალობების ჯგუფი.

საინტერესოა, რომ ბემოლიანი ტონალობების აგება შესაძლებელია საათის ისრის მიმართულებითაც წმინდა კვარტებით ზევით.




როგორც სქემიდან ჩანს, ტონალობებში ყველაზე მეტი საგასაღებო ნიშანი (7 დიეზით) დო დიეზ მაჟორსა და მის პარალელურ ლა დიეზ მინორს (7 ბემოლით) და დო ბემოლ მაჟორსა და მის პარალელურ ლა ბემოლ მინორს აქვს. „თერმომეტრის სკალაზე“ მათ უკიდურესი პოზიციები უკავიათ: დო დიეზ მაჟორს – ყველაზე „ცხელი“, ხოლო დო ბემოლ მაჟორს – ყველაზე „ცივი“.

ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ტონალობები, რომლებსაც საგასაღებო ნიშნები არ გააჩნია, დო მაჟორი და ლა მინორია და ისინი „თერმომეტრის“ სკალის ნულოვან მაჩვენებელთან ასოცირდება. მათში ნული დიეზი და ნული ბემოლია. ისინი მხოლოდ თეთრ კლავიშებზე იკვრება, რაც, დამეთანხმებით, ძალიან მოხერხებულია.

ყოველ მაჟორულ ტონალობას, დიეზიანსა თუ ბემოლიანს, თავისი პარალელური მინორი აქვს. იოლი მისახვედრია, რომ მინორული ტონალობების მწკრივი მაჟორულ ტონალობათა პარალელურად არის განლაგებული.

პარალელური ტონალობები ეწოდება მაჟორული და მინორული ტონალობების წყვილს ერთნაირი საგასაღებო ნიშნებით, რაც ტონალობებში ერთნაირ ბგერით შემადგენლობას გულისხმობს. მაგალითად, ტონალობა ლა მინორის აგების გასაადვილებლად გავიხსენოთ მინორული კილოს სტრუქტურა (ტონი, ნახევარტონი, ტონი, ტონი, ნახევარტონი, ტონი, ტონი). როგორც ვხედავთ, ტონალობაში არ არის გასაღების ნიშნები და ყველა ბგერა თეთრ კლავიშს ემთხვევა. ასეთივე სურათია დო მაჟორში, ვინაიდან ლა მინორი ზუსტად დო მაჟორის ბგერებისგან შედგება. სწორედ ასეთ ტონალობებს უწოდებენ პარალელურს.

დავიმახსოვროთ შემდეგი წესი: პარალელური ტონალობები ძირითად ბგერათა რიგის მეექვსე საფეხურზე აიგება. ისინი ერთმანეთს პატარა ტერციით (1,5 ტონი) არიან დაშორებული; ქვევით მინორულია, ზევით – მაჟორული. ამრიგად, მინორული ტონალობის დასადგენად აუცილებელია მოცემული მაჟორული ტონალობის ტონიკიდან დაღმავალი მიმართულებით ავაგოთ ინტერვალი პატარა ტერცია (1,5 ტონი) ანუ სამი საფეხურით ქვევით გადავთვალოთ. მაჟორული ტონალობის დასადგენად კი პატარა ტერცია ავაგოთ მინორული ტონალობიდან ზევით. მაგალითად, მი მაჟორის პარალელური მინორული ტონალობა დო დიეზ მინორი იქნება. ორივე ტონალობაში 4 საგასაღებო ნიშანი – დიეზი შეგვხვდება.

კვარტა-კვინტური წრის ყველა ტონალობაში აქვთ დაწერილი შოპენსა და შოსტაკოვიჩს თავიანთი 24 პრელუდიისგან შემდგარი ციკლები. რაც შეეხება იოჰან სებასტიან ბახს, მან „კარგად ტემპერირებულ კლავირში“ ყველა ტონალობის თანასწორობა უნაკლოდ აჩვენა.

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

ტონალობათა კვარტა-კვინტური წრე კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მრავალსახოვანი ბგერები და კილოები მკაფიოდ აწყობილი მექანიზმია. დღესავით ნათელია, რომ ჰარმონიის კანონების ცოდნა მუსიკის გაგებას ძალზე აადვილებს.